

პროგრამული დაფინანსების გაცემის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს წესი განსაზღვრავს სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში - ხელოვნების უნივერსიტეტი) საშემსრულებლო მიმართულებით საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის პროგრამული დაფინანსების გაცემის წესს. (16.09.2024, №05-01/01)

2. ეს წესი ვრცელდება ხელოვნების უნივერსიტეტში ჩარიცხულ იმ სტუდენტებზე, რომლებმაც საშემსრულებლო ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისას ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე გაიარეს შემოქმედებითი ტური/ტურები.

3. წესი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“- ქვეპუნქტის საფუძველზე.

მუხლი 2. პროგრამული დაფინანსების წყარო და ოდენობა

1. პროგრამულად დაფინანსებული ადგილების განსაზღვრა ხდება ყოველწლიურად საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ხელოვნების უნივერსიტეტისათვის გამოყოფილი სუბსიდიის ფარგლებში. (16.09.2024, №05-01/01)

2. პროგრამულად ფინანსდება:

ა. ბაკალავრიატში სწავლა ჩარიცხვიდან 4 წლის განმავლობაში, თითოეულ საშემსრულებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე (კონცენტრაციაზე) ჩარიცხული სტუდენტების 30%-ი. (16.09.2024, №05-01/01)

ბ. (ამოღებულია - 16.09.2024, №05-01/01)

3. მუსიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის საორკესტრო მიმართულებით ჩარიცხული ყველა სტუდენტი ღებულობს პროგრამულ დაფინანსებას, მათ შორის, აღნიშნული მიმართულებით მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტი. (14.11.2014, №05-01/01)

მუხლი 3. პროგრამული დაფინანსების მიღების პირობები

1. სპეციალობისათვის გამოყოფილი კვოტის ფარგლებში პროგრამულ დაფინანსებას კონკურსის წესით მიიღებენ ხელოვნების უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტები, რომლებმაც შემოქმედებით ტურში/ტურებში მიიღეს 81 და მეტი ქულა.

2. სტუდენტი ვერ მიიღებს მოპოვებულ პროგრამულ დაფინანსებას თუ:

ა. სწავლის პერიოდში სპეციალობის საგანში ან/და საგნებში მიიღებს 81 ქულაზე ნაკლებს; (16.10.2014, №05-01/06)

ა¹. (ამოღებულია - 16.09.2024, №05-01/01);

ბ. სხვა საგანში ან/და საგნებში მიიღებს უარყოფით „(F) ჩაიჭრა“ შეფასებას; (12.02.2015, №05-01/02)

[ბ. სხვა საგანში ან/და საგნებში მიიღებს 71 ქულაზე ნაკლებს; (ამოქმედდეს 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან)]

გ. მობილობით ან ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩაირიცხება სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და შეუწყდება ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი.

დ. შიდა მობილობით პროგრამის ან/და კონცენტრაციის შეცვლის შემთხვევაში.

ე. პროგრამული დაფინანსება არ გაიცემა ხელოვნების უნივერსიტეტში ჩარიცხულ უცხოეთის მოქალაქეებზე.

3. გამოთავისუფლებული პროგრამული დაფინანსება გაიცემა:

ა. ბაკალავრიატში იმავე ჯგუფში მყოფ იმ კანდიდატზე, რომელსაც სემესტრულ შეფასებებში სპეციალობის საგნებში აქვს შეფასება 81 და მეტი ქულა.

[ა. ბაკალავრიატში იმავე ჯგუფში მყოფ იმ კანდიდატზე, რომელსაც სემესტრულ შეფასებებში სპეციალობის საგნებში აქვს შეფასება 81 და მეტი ქულა და სხვა საგნებში აქვს 71 და მეტი ქულა. (ამოქმედდეს 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან)]

ბ. (ამოღებულია - 16.09.2024, №05-01/01).

მუხლი 4. გარდამავალი დებულება

1. „პროგრამული დაფინანსების გაცემის წესის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი არ ვრცელდება ხელოვნების უნივერსიტეტში 2014 წლის 1 იანვრამდე ჩარიცხულ სტუდენტებზე.

მუხლი 5. წესის ამოქმედება

ეს წესი ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.

სპეციალობის საგნების ჩამონათვალი საგანმანათლებლო პროგრამების/კონცენტრაციების მიხედვით

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კონცენტრაცია	სპეციალობის საგნები	
1	აუდიოვიზუალური ხელოვნება (კინორეჟისურა; ტელერეჟისურა)	ტელერეჟისურა	ტელერეჟისორის ოსტატობა 1-7	
			კომპიუტერული მონტაჟი 1-4	
			კინო-ტელე ოპერატორის ოსტატობა 1-3	
		კინორეჟისურა	კინორეჟისორის ოსტატობა 1-7	
			კინომონტაჟი 1-4	
			კინო-ტელე ოპერატორის ოსტატობა 1-3	
2	სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)	დრამისა და კინოს სამსახიობო	მსახიობის ოსტატობა 1-7	
			რიტმიკა 1-2	
			სასცენო მოძრაობა 1-5	
			სასცენო მეტყველება 1-7	
			მსახიობის ოსტატობა 1-7	
			რიტმიკა 1-2	
		დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო	სასცენო მოძრაობა 1-5	
			სასცენო მეტყველება 1-7	
			თოჯინების ტექნიკა და ტექნოლოგია 1-2	
			ქსოვილის კომპოზიცია და მასალაში შესრულება 1-6	
			სამოსის კომპოზიცია 1-6	
			კომპოზიციის საფუძვლები	
3	მოდის დიზაინი		ტექსტილის და სამოსის ისტორია	
			დეკორატიული მხატვრობა	
			შესავალი სპეციალობაში და არქიტექტურული გრაფიკის საფუძვლები	
			არქიტექტურული გეგმარების საფუძვლები და აზომვითი პრაქტიკა	
			არქიტექტურული გეგმარება 1-5	
4	არქიტექტურა		სპეციალობა 1-8	
			საკონცერტმანისტერო კლასი 1-8	
			კამერული ანსამბლის კლასი 1-8	
5	სამუსიკო ხელოვნება (ფორტეპიანო/სიმებიანი/ ჩასაბერი საკრავები/ვოკალი/ საგუნდო დირიჟორობა)	ფორტეპიანო	საფორტეპიანო დუეტი 1-2	
			სიმებიანი/ჩასაბერი საკრავები	სპეციალობა 1-8
				საორკესტრო კლასი 1-8
				კამერული ანსამბლი 1-6
		საკვარტეტო კლასი/სასულე ინსტრუმენტების ანსამბლი 1-8		
		ვოკალი		სპეციალობა 1-8
				კამერული სიმღერა 1-6
			საოპერო კლასი 1-4	
			საოპერო სტუდია 1-2	
			საოპერო გუნდი 1-8	
			ტრენინგი მუსიკალური სმენის განვითარებასა და ფურცლიდან კითხვაში 1-4	
			საგუნდო დირიჟორობა	სპეციალობა 1-8
				საგუნდო კლასი და გუნდთან მუშაობა 1-8
		საგუნდო პარტიტურის კითხვა		
		სოლფეჯიო 1-2		